2023 წლის პირველი კვარტლის ანგარიში
დირექტორი ვლადიმერ ტატიშვილი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიოს
დირექტორის საქმიანობის
ყოველკვარტალური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი:

2023 წლის

პირველი კვარტალი

01/01/2023-31/03/2023

2023 წლის პირველი კვარტლის ანგარიში
დირექტორი ვლადიმერ ტატიშვილი

ბათუმი

სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
   რადიო - შედეგები და საჭიროებები;
   ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;
   მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის სახელმწიფო შესყიდვები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა“ - სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

შესავალი

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ხელმძღვანელობს მრჩეველთა საბჭოს და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტებით, კანონმდებლობით დადგენილი შინაარსობრივი ვალდებულებებით. ზუსტი, სამართლიანი და მიუკერძოებელი მედია დემოკრატიული საზოგადოების მონაპოვარია. საზოგადოებრივი მაუწყებლის ამოცანა ამ პრინციპების დაცვით სამაუწყებლო პროდუქტის მაყურებლამდე და მსმენელამდე დროულად და ხარისხიანად მიწოდებაა.
მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ხელშეწყობა ობიექტურ რეალობაში. ამასთან, პროგრამების მრავალფეროვნებამ და ყოვლისმომცველობამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებები უნდა გამოკვეთოს და პრობლემების იდენტიფიკატორად იქცეს მათი ოპტიმალური გადაწყვეტის ხელშესაწყობად.

ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

- ბიუჯეტის მართვა;
- აუდიტორიის შენარჩუნება და გაზრდის ღონისძიებების დაგეგმვა;
- თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება;
- ადმინისტრაციული რეფორმების შესაძლებლობის ანალიზი და პროექტის შემუშავება;
- მაუწყებლის განვითარების შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი;
- ფინანსური ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებების შემუშავება.

კვარტლის მიღწევები:

- 2023 წლის 1 თებერვლიდან საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში ჩამოყალიბდა პრომოუშენის განყოფილება, რომლის ფარგლებში ერთიანი ქუდის ქვეშ ხორციელდება მაუწყებლის სატელევიზიო არხისა და სატელევიზიო გადაცემების პერიოდული, სეზონების მიხედვით შეფუთვა, პროგრამათაშორისი ვიდეოარტების მომზადება, სატელევიზიო გადაცემების, მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმების ანონსების მომზადება;

- მაუწყებელმა ექსკლუზიურად განახორციელა „დინამო ბათუმის“ საერთაშორისო ამხანაგური მმატჩების პირდაპირ ეთერში ტრანსლირება;

- მიმდინარე წლის 8 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით მაუწყებელმა ექსკლუზიური უფლებით შეიძინა და განახორციელა წყალბურთის მსოფლიო თასის მმატჩების პირდაპირ ეთერში ტრანსლირება;

- მიმდინარე წლის 26 მარტს მაუწყებელმა ექსკლუზიურად განახორციელა ევროპის მოედანზე გამართული UEFA-ს ახალგაზრდული ჩემპიონატის თასის შემოტანის საზეიმო ღონისძიების პირდაპირ ეთერში ტრანსლირება;

- 2023 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით (2022 წლის დაუხარჯავი ნაშთის ასახვით) შრომის ანაზღაურების ზრდისთვის განსაზღვრული ფინანსური რესურსის ფარგლებში 2023 წლის 1 მარტიდან თანაბარი და სამართლიანი მიდგომის პრინციპის გათვალისწინებით შრომის ანაზღაურება გაეზარდათ 1050 ლარის ჩათვლით ხელფასის მქონე მაუწყებლის თანამშრომლებს. ასევე, განხორციელდა შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები და ღონისძიებები 2023 წლის 1 აპრილიდან 1050 ლარზე მეტი ხელფასის მქონე მაუწყებლის თანამშრომლებისთვის შრომის ანაზღაურების ზრდის უზრუნველსაყოფად;

- პასუხისმგებელი პირების ჩართულობით მომზადდა და 2023 წლის 7 მარტიდან ამოქმედდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ პერსონალის სამსახურში მიღების წესი;

- გარე წარმოების პროგრამების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ბაზრის კვლევის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები საბავშვო გადაცემებისა და კულინარიული ტურიზმის შესახებ გადაცემების მოწოდების შესახებ;

- მორიგებით დასრულდა სასამართლო დავა მოსარჩელე ალექსანდრე თხილაიშვილთან;

- დირექტორის მრჩევლის მიერ სხვა პასუხისმგებელი პირების ჩართულობით მომზადდა მაუწყებლის ხედვის დოკუმენტი, რომლის პრეზენტაციაც მოხდა მაუწყებლის თანამშრომლების წინაშე;

- წარმოდგენილი პროექტების ფარგლებში გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები 2 ახალი სატელევიზიო გადაცემის „ტელეპორტალი“ და „ბიომეტრია“ მომზადების მიზნით, რომელიც სამაუწყებლო ბადეში ჩაეშვება მიმდინარე წლის აპრილიდან.

- საავტორო-შემოქმედებითი გადაცემებისა და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ავტორებთან თანაბარი მიდგომის ფარგლებში შეთანხმებული და გაფორმებული იქნა გადაცემების/ფილმების ჩაბარების ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკები;

- შიდა საორგანიზაციო წესრიგის უზრუნველსაყოფად დაინერგა სხვადასხვა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი დოკუმენტების ვიზირებების სისტემა;

- დაინერგა გაფორმებული ხელშეკრულებების, სხდომის ოქმებისა და სხვა მნიშვნელოვანი შიდა დოკუმენტების საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვისა და შესაბამისად პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულზე ელექტრონულად მიწოდების პრაქტიკა.

<u>კვარტლის გამოწვევა</u> - მთავარ გამოწვევად (როგორც კვარტლის, ისე ზოგადად) კვლავ რჩება, მაუწყებლის ადამიანური რესურსების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგრადი

განვითარების უზრუნველყოფა, არსებული ორგანიზაციული რისკების იდენტიფიცირება, მათი მინიმუმამდე დაყვანის მიზნით სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

„პროგრამა=პრიორიტეტს“ შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები

მაუწყებლის სატელევიზიო ეთერში აქტიურად შუქდებოდა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, სოციალური-კულტურული თუ ეკონომიკური აქტივობები. ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს განხორციელდა სპეც. ეთერები და ახალი ამბების სამსახური მუშაობდა საგანგებო რეჟიმში. ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ასევე რეგიონში არსებული მოვლენები, ყველა მუნიციპალიტეტის მასშტაბით შუქდებოდა სოციალური და პოლიტიკური მოვლენები. აქტიურად შუქდებოდა თურქეთში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებული მოვლენები, ასევე, რუსეთ-უკრაინის ომი.
საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში ჩამოყალიბებული პრომოუშენის განყოფილების/ჯგუფი დაკომპლექტდა შესაბამისი პერსონალით, რაც ხელს უწყობს თანმიმდევრულ მუშაობას. ჯგუფის მიერ შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით განისაზღვრა საეთერო ბადის დრამატურგია, დაისახა ამოცანები და მიმდინარეობს მისი ეტაპობრივი განხორციელება. წლის კალენდარული თარიღების სქემის ფარგლებში შინაარსობრივი დატვირთვის გათვალისწინებით მზადდება სხვადასხვა ტიპის ტიხრები და ვიდეოარტები. განხორციელდა არსებული გადაცემების ანონსების გრაფიკული შეფუთვა, ჯგუფი ყოველდღიურად უზრუნველყოფს სატელევიზიო ანონსების მომზადებასა და ეთერში განთავსებას. განყოფილების ინიციატივით და ორგანიზებით პრაქტიკაში დამკვიდრდა პირდაპირი ეთერის ფორმატის გადაცემების პირდაპირი ანონსირება.
აქტიური მუშაობა დაიწყო დოკუმენტური ფილმების სტუდიამ, დაკონკრეტდა და დაზუსტდა სტუდიის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები. ეთერში განთავსდა სტუდიის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმები.
აქტიურად მიმდინარეობს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების რებრენდინგი. განხორციელდა გადაცემების „დილის ტალღა“ და „დიდი შესვენება“ ფორმატის ცვლილება, შემცირდა შოუს ელემენტები და გაიზარდა შემეცნებითი ნაწილი. ასევე უფრო დინამიური გახდა გადაცემა „მსხალის“ ფორმატი.
მიმდინარეობს ორი ახალი საავტორო-შემოქმედებითი გადაცემის „ტელეპორტალი“ და „ბიომეტრიას“ მომზადების პროცესი, რომელიც სატელევიზიო ეთერში განთავსდება მიმდინარე წლის აპრილიდან.
როგორც ცნობილია, აჭარის ტელევიზია მაუწყებლობს 17 საათიანი სატელევიზიო ეთერით. კვირის სატელევიზიო საეთერო ბადის მონაცემთა სტრუქტურა პრიორიტეტებთან მიმართებაში შემდეგნაირია:

პროგრამის დასახელება	სულ ქრონომეტრაჟი წუთებში კვირის განმავლობაში	წილი კვირის საერთო ქრონომეტრაჟში	შესაბამისი პროგრამული პრიორიტეტი
საინფორმაციო გამოშვება	975	13.66%	საზოგადოების ინფორმირება რეგიონსა და სრულიად საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკური პროცესების შესახებ
საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები	240	3.36%	პოლიტიკური დებატების უზრუნველყოფა
„გზამკვლევი“	60	0.84%	სოციალური პროექტების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება
სულ		**17.86%**	
შიდა წარმოების საავტორო გადაცემები და დოკ. ფილმები			
„ერთი დღე სოფელში“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	80	1.12%	ქართული სოფლების ცხოვრების წესის, ტრადიციებისა და ადათ-ჩვევების წარმოჩენა, ტურისტული სექტორის პოპულარიზაცია
„სახალხო კონტროლი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	60	0.84%	მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები

„მე ვარ ფერმერი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	60	0.84%	მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და მასთან დაკავშირებული პრობლემები, სოფლის მეურნეობის სფეროს პრობლემები და გამოწვევები
„სცენა“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	60	0.84%	კულტურული მრავალფეროვნების განვითარება, სასცენო ცხოვრების წარმოჩენა
„ბუნების კანონი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	60	0.84%	ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემები
„ეთნოფორი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	60	0.84%	ქვეყნის ეთნიკური კულტურის პოპულარიზაცია
„ვემსახურები საქართველოს“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	60	0.84%	სამხედრო თემატიკის პოპულარიზაცია
„ბიბლიოთეკა“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	60	0.84%	ლიტერატურის პოპულარიზაცია
„პროექცია“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	120	1.68%	სხვადასხვა სფეროს წარმატებული ადამიანების წარმოჩენა
„მუსOWN“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	20	0.28%	კულტურული მრავალფეროვნების განვითარება, მუსიკის პოპულარიზაცია
„თეთრი კვადრატი“ ფილმთან ერთად (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	200	2.80%	კულტურული მრავალფეროვნების განვითარება, კინემატოგრაფიის პოპულარიზაცია
„მსხალი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	120	1.68%	შემეცნებითი მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

„ტელესპექტაკლები“	30	0.42%	რეგიონული თეატრებისა და მათი სპექტაკლების პოპულარიზაცია
დოკ. ფილმების სტუდიის საავტორო დოკუმენტური ფილმები	175	2.45%	დოკუმენტალისტიკა
სულ		**16.32%**	
სტუდიური გადაცემები			
„სპორტკლუბი“	60	0.84%	რეგიონისა და ქვეყნის სპორტული საკითხები და სპორტის პოპულარიზაცია
„არტ-ექსპერტი“	60	0.84%	ხელოვნებისა და კულტურის სფეროს საკითხების წარმოჩენა
„იმპულსი“	60	0.84%	ჯანდაცვის საკითხები
„ზუმ განათლებაზე“	60	0.84%	განათლების თემების წარმოჩენა
„რაკურსი ევროპისკენ“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	60	0.84%	ევროინტეგრაციის პოპულარიზაცია და მისი რეალური სარგებლის წარმოჩენა
„მთავარი ეკონომიკაში“	60	0.84%	რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესახებ საზოგადოების ინფორმირება
„დილის ტალღა“	180	2.52%	შემეცნებით-გასართობი მიმართულება
„დიდი შესვენება“	300	4.20%	შემეცნებით-გასართობი მიმართულება
სულ		**11.76%**	

შეძენილი მექანიკური პროდუქცია			
ანიმაციური ფილმები	495	6.93%	საბავშვო პროგრამების განთავსება
დოკ. ფილმები (თემატიკა:ეკოლოგია, საინჟინრო პროექტები, ხელოვნება, კულტურა, მეცნიერება, შემეცნებითი, ტურიზმი) განმეორებითი ჩვენებების გათვალისწინებით	1010	14.15%	ეკოლოგიის, ინჟინერიის, ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების ტურიზმის მიმართულებები
ქართული მხატვრული ფილმები	510	7.14%	
უცხოური მხარტვრული ფილმები	1310	18.35%	
სულ		**46.57%**	
გარე წარმოების შეძენილი პროგრამები			
„ბიზნეს-სტანდარტი“	175	2.45%	ბიზნესის სფეროს ანალიტიკა
„დარტსი“ (განმეორებითი ჩვენების გათვალისწინებით)	60	0.84%	საბავშვო პროგრამების განთავსება
სულ		***3.29%***	
მემორანდუმის ფარგლებში მოწოდებული პროგრამები			
დოიჩე ველეს პროგრამები (თემატიკა: ხელოვნება, კულტურა, მსოფლიო გლობალური პრობლემები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მედიცინა, ტურიზმი) განმეორებითი ჩვენებების გათვალისწინებით	300	4.20%	მსოფლიოს ხელოვნების, კულტურის, გლობალური პრობლემების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მედიცინის, ტურიზმის საკითხები
სულ		***4.20%***	

შეძენილი დოკუმენტური ფილმების თემატიკის განაწილება კვარტლის განმავლობაში შემდეგნაირია:

თემატიკა	ქრონომეტრაჟი კვარტლის განმავლობაში საათებში	წილი დოკ. ფილმების საერთო ქრონომეტრაჟში
საინჟინრო მიღწევები	24	12.63%
კულტურა	28	14.74%
ეკოლოგია, გარემოს დაცვა	66	34.74%
აგრომიმართულება	15	7.89%
სპორტი	6	3.16%

ტურიზმი	29	15.26%
შემეცნებით-გასართობი	22	11.58%
სულ	***190***	***100.00%***

კვარტლის განმავლობაში შიდა წარმოების არასტუდიური პროგრამების საეთერო ბადეში განთავსების სტრუქტურა შემდეგნაირია:

პროგრამის დასახელება	სულ ქრონომეტრაჟი წუთებში კვარტლის განმავლობაში (განმეორებითი ჩვენების გარეშე)	წილი კვარტლის საერთო ქრონომეტრაჟში
"სახალხო კონტროლი"	455	0.50%
"მსხალი"	405	0.44%
"პროექცია"	480	0.52%
"სცენა"	300	0.33%
"ბიბლიოთეკა"	270	0.29%
"ტელესპექტაკლები"	270	0.29%
საავტორო დოკუმენტური ფილმები	200	0.22%
"ბუნების კანონი"	180	0.20%
"ეთნოფორი"	180	0.20%
"ვემსახურები საქართველოს"	180	0.20%
"მე ვარ ფერმერი"	175	0.19%
"ერთი დღე სოფელში"	160	0.17%
"თეთრი კვადრატი" (ფილმის გარეშე)	140	0.15%
"მუსOwn"	135	0.15%
სპეც. რეპორტაჟი (საგამოძიებო)	30	0.03%
სულ	3560	3.88%

დღის განმავლობაში საშუალოდ 55 წუთი ეთმობა სოციალურ რეკლამებს (5 წუთიანი ბლოკი საშუალოდ 11-ჯერ, საშუალოდ 60 წუთი - ანონსებს (4 წუთიანი ბლოკი 15-ჯერ), საშუალოდ 18 წუთი - შიდა არტებს (90 წამიანი 12-ჯერ).

რადიო - შედეგები და საჭიროებები

რადიოს ეთერში მუდმივად გადაიცემოდა რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ უახლესი ინფორმაცია. რადიო მოწოდებულია მსმენელს შესთავაზოს საინტერესო კონტენტი. 2023 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში პროექტ „მიმღერე რამეს“ ფარგლებში მიღებული გზავნილებით რადიოს მუსიკალურ ბაზაში დაგროვდა 130-ზე მეტი ახალი ქართული საავტორო სიმღერა. ეთერში ჩაეშვა ოთხი ახალი რუბრიკა: „გოგონა დიქტოფონით“, „პროფესია მშობელი“, „ალგორითმი“ და „მარსელ პრუსტის კითხვარი“.

მუსიკალურ წამყვანებთან ერთად მზადდება შემეცნებით-გასართობი სახის ინფორმაცია ე.წ. ქარდები, რამაც მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნა რადიოს გვერდი სოციალურ ქსელში. როგორც ცნობილია, აჭარის რადიო მაუწყებლობს 24 საათიანი რადიო ეთერით. კვირის რადიო საეთერო ბადის მონაცემთა სტრუქტურა პრიორიტეტებთან მიმართებაში შემდეგნაირია:

პროგრამის დასახელება	სულ ქრონომეტრაჟი კვირაში (წთ)	წილი კვირის საერთო ქრონომეტრაჟში	შესაბამისი პროგრამული პრიორიტეტი
მუსიკალური ფლეილისტი			
მუსიკა	2495	24.75%	შემეცნებით-გასართობი მიმართულება
ღამის მუსიკალური პროგრამა	3570	35.42%	შემეცნებით-გასართობი მიმართულება
სულ		**60.17%**	
სტუდიური პროგრამები			
დილის რადიო	450	4.46%	გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (ტურიზმი, განათლება, ჯანდაცვა, ეკოლოგია, სპორტი, მეცნიერება), ადამიანის უფლებები
საინფორმაციო გამოშვება	420	4.17%	საზოგადოების ინფორმირება რეგიონსა და სრულიად საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკური პროცესების შესახებ, პოლიტიკური დებატების უზრუნველყოფა
ქართული ესტრადა	385	3.82%	ქართული კულტურის პოპულარიზაცია
ღია ეთერი	90	0.89%	საბავშვო მიმართულება, განათლება, ჯანდაცვა, ადამიანის უფლებები
სპორტი	45	0.45%	რეგიონისა და ქვეყნის სპორტული საკითხები და სპორტის პოპულარიზაცია
კონტაქტი	225	2.23%	ეკონომიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანდაცვა
კომპეტენტური პასუხი	120	1.19%	საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ
თვითმართველობა	60	0.60%	თვითმმართველობის მიმართულებით არსებული პრობლემების გაშუქება და ანალიზი

საღამო მშვიდობისა	900	8.93%	გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (შოუ-ბიზნესი, კულტურა, ხელოვნება)
შუადღის ზოლი	960	9.52%	გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (შოუ-ბიზნესი, კულტურა, ხელოვნება)
სულ		**36.26%**	
		არასტუდიური პროგრამები	
ეკო სამყარო	20	0.20%	ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემები
რადიობაქანი	40	0.40%	გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (კულტურა, ლიტერატურა, ისტორია)
კინობლოგი	50	0.50%	კინემატოგრაფია
ფმ ფანტაზიები	120	1.19%	კულტურული მრავალფეროვნების განვითარება, მუსიკის პოპულარიზაცია
მუსown	15	0.15%	კულტურული მრავალფეროვნების განვითარება, მუსიკის პოპულარიზაცია
სულ		**2.43%**	
		რუბრიკები	
ერთი სეტი	8	0.08%	გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (მუსიკა)
დაუსრულებელი პლეილისტი	8	0.08%	გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (მუსიკა)
განძი ხელთუქმნელი	16	0.16%	გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (ქართული ფოლკლორი)
არტ ფაილი	8	0.08%	გასართობ-შემეცნებითი მიმართულება (ლიტერატურა)
სულ		**0.40%**	
		გარე წარმოების პროგრამები	
ბათუმური დღიურები	30	0.30%	შემეცნებითი მიმართულება (ისტორია, ლიტერატურა)
ჩემი ალტერნატივა	45	0.45%	ქართული ე.წ. ადრერგრაუნდ ესტრადის პოპულარიზაცია
სულ		***0.74%***	

დღის განმავლობაში რადიოს ეთერის 36 წუთი ეთმობა ანონსებს (3 წუთიანი ბლოკი საშუალოდ 12-ჯერ).

2023 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში რადიოს ეთერში განთავსდა სულ 477 წუთის კომერციული რეკლამა.

ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები

მაუწყებლის ვებ-გვერდსა და სოც. ქსელებში იტვირთება სატელევიზიო და რადიო ეთერში გასული გადაცემები, მაუწყებლის ადმინისტრაციისა და მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და სხდომების ვიდეოჩანაწერები. სოც. ქსელებში ზიარდება პრომოუშენის განყოფილების მიერ მომზადებული გადაცემების ანონსები, საიმიჯო და საინფორმაციო ვიდეორგოლები. მიმდინარეობს Instagram-ზე აქტიური მუშაობა მაუწყებლის გადაცემების მასალების გამოყენებით.

მოქალაქეთა ინტერაქციის მიხედვით კვარტლის მაჩვენებლები შემდეგნაირია:

	Page Name	Total Interactions	Interaction Rate	Avg. Posts Per Day	Views on Owned Videos	Page Followers	Growth % and #
	Average Total	24,527.47	0.602%	5.32	422,220.53	33,161.60	+3.56%
1	ერთი დღე სოფელში	131,341	2.342%	0.81	1.70M	78,695	+8.07% +5,877
2	დიდი შესვენება . Ajara TV	70,007	0.887%	5.04	1.66M	18,165	+12.79% +2,060
3	დილის ტალღა / Dilis Talga	57,952	0.379%	4.1	1.39M	42,784	+9.66% +3,770
4	აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი	51,085	0.005%	60.32	662,954	186,541	+0.59% +1,096
5	სპორტკლუბი / SportClub	42,060	1.025%	4.42	502,283	10,424	+5.58% +551
6	მე ვარ ფერმერი / Me Var Fermeri	5,776	0.948%	0.09	233,992	77,037	+2.25% +1,695
7	დილის რადიო	4,653	0.214%	3.34	82,277	7,197	+5.10% +349
8	ვემსახურები საქართველოს	1,907	0.484%	0.2	44,349	21,760	+0.60% +130
9	ART ექსპერტი / ART Expert	1,236	0.702%	0.78	30,976	2,469	+4.09% +97
10	ბიბლიოთეკა	874	0.601%	0.26	6,411	6,050	+2.11% +125
11	ბუნების კანონი	512	0.406%	0.13	14,173	10,404	+1.37% +141
12	ZOOM განათლებაზე	340	0.167%	0.15	4,936	14,401	-0.14% -20
13	Gastrolover	134	0.7%	0.02	2,323	9,564	-0.15% -14
14	იმპულსი • Impulsi	34	0.074%	0.04	904	10,895	+0.22% +24
15	თეთრი კვადრატი / White Quadrat	1	0.097%	0.01	—	1,038	+1.27% +13

კონკურენტ არხებთან მიმართებაში მაჩვენებლები შემდეგნაირია:
ინტერაქციის თვალსაზრისით - 28-ე ადგილი;
ვიდეოების ყურებადობა - 26-ე ადგილი;
აუდიტორიის რაოდენობით - მე-18 ადგილი;
დღიურად პოსტების გამოქვეყნების მიხედვით - მე-6 ადგილი.
Youtube-ზე კვარტლის მონაცემებით აუდიტორიის ჩართულობა მზარდია. დაგვემატა 1700 ფოლოუერი, 850 ათას გადასცდა ვიდეოების ყურებადობა.

მონიტორინგის ანგარიშები

მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის წარმომადგენლები ყოველი თვის დასრულების შემდეგ დირექტორს წარუდგენენ ინფორმაციას სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და მონიტორინგის შედეგების შესახებ, რომლის განხილვაც ხორციელდება ერთობლივ ყოველთვიურ სამუშაო შეხვედრაზე, ინფორმაცია მიეწოდება მაუწყებლის სამსახურებს. მაუწყებლის სტრუქტურული რეფორმირების და თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების საკითხებში დირექტორის მრჩევლის უშუალო ჩართულებით ხორციელდება მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებისთვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდაზე.

<u>იურიდიული მხარდაჭერა</u>

გაფორმდა ხელშეკრულებები გარე წარმოების გადაცემებისა და მექანიკური პროდუქციის შესყიდვის მიზნით, რომლის ფარგლებშიც შეძენილია:

გარე წარმოების გადაცემები:

- ბიზნესისა და ეკონომიკის თემატიკაზე საინფორმაციო-ანალიტიკური ყოველდღიური (შაბათ-კვირის გარდა) სატელევიზიო გადაცემა "ბიზნეს სტანდარტი";
- საბავშვო თემატიკის სატელევიზიო გადაცემა -"დარტსი";
- კულინარიული ტურიზმის თემაზე სატელევიზიო გადაცემა "გასტრომოყვარული/2023";
- შემეცნებით-გასართობი რადიოგადაცემა „ბათუმური დღიურები“.

მექანიკური პროდუქცია:

- 96 ერთეული ქართული მხატვრული ფილმი;
- 121 ერთეული უცხოური მხატვრული ფილმი;
- 190 ერთეული დოკუმენტური ფილმი;
- 23 ერთეული ანიმაციური ფილმი;
- 6 ერთეული ანიმაციური სერიალი.

2023 წლის 1 აპრილიდან ბათუმის შემოსავლელში (გვირაბთან), სარფში, ქედაში, შუახევსა და ხულოში მაუწყებლის ბანერების განთავსების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულებები.

- **სასამართლო დავები**

1. დავა მოსარჩელე შორენა ღლონტთან - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ საკასაციო სასამართლოში;
2. დავა მოსარჩელე ალექსანდრე თხილაიშვილთან დასრულდა მორიგებით;
3. დავა მოპასუხე შპს „აირნეტთან“ მაუწყებლის სასარგებლოდ თანხის დაკისრების შესახებ - მაუწყებლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ყადაღა დაედო მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხის 50%-ს მოთხოვნილი თანხის ფარგლებში. ყველა სხვა დავა არის განხილვის ეტაპზე.

- **უძრავი ქონების განკარგვა**

მაუწყებელმა აუქციონის წესით, 2 წლის ვადით იჯარით გასცა უძრავი ქონება:
ა) ქ. ბათუმში, სულხან-საბაორბელიანისქ N31-შიმდებარე 7580 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული 2686.97 ფართის შენობა-ნაგებობების (ს/კ: 05.26.29.025) ნაწილი - 23.3 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
ბ) ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელ გოდგაძეებში (არგინეთი) მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.02.01.558) ნაწილი 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული გადამცემი სადგურის (ანძა) 2 გრძივი მეტრი.
მითითებულ უძრავ ქონებაზე მოიჯარეს წარმოადგენს შპს „მაგთიკომი“. ხელშეკრულებები დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

- **მაუწყებლისთვის ფართის გადმოცემა**

სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის 2023 წლის 14 თებერვლის N01-07/4 ბრძანების საფუძველზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ უსასყიდლოდ გადაეცა ქ.ბათუმში, მემედ აბაშიძის ქN16/18-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 596.7 ფართის (ს/კ 05.21.06.003.01.502) ნაწილი 86.1 კვ.მ ფართი. სარგებლობის უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

- **მემორანდუმი**

გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი (2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან.

<u>კვარტლის სახელმწიფო შესყიდვები</u>

კვარტლის განმავლობაში გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით, მათ შორის:

ელექტრონული ტენდერების ფარგლებში:

- მაუწყებლის ავტომობილების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;
- ელემენტები;
- ვიდეოსამიქშერო პულტის პროცესორი;
- აუდიტორული მომსახურება მრჩეველთა საბჭოს დაკვეთით;
- მყარი დისკების მასივი;
- სამეურნეო საქონელი.

კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში:

- 2 ერთეული II კლასის მსუბუქი ავტომობილი (საგარანტიო ტექ. მომსახურების ჩათვლით);
- 4 ერთეული II კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი (საგარანტიო ტექ. მომსახურების ჩათვლით);
- 19 ერთეული ლეპტოპი;
- 11 ერთეული პერსონალური კომპიუტერი;
- მაუწყებლის ავტომობილებისთვის ძრავის ზეთი და ფილტრი;
- 1000 შეკვრა უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი;

გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში:

- დაცვის მომსახურება;
- მთარგმნელობითი მომსახურება;
- ავტომობილთა ტექ. ინსპექტირება;
- რადიოგადამცემთა დემონტაჟისა და მონტაჟის სამუშაოები;
- სასერვერო ოთახის სარემონტო სამუშაოები;
- 5 წლამდე ავტომობილთა ტექ. მომსახურება;
- სხვადასხვა სახის სამეურნეო საშუალებები;
- ბრენდირებული ნივთები;
- ბანერები და სტიკერები;
- წამყვანთა ჩაცმულობა;
- მაკიაჟის საშუალებები;

- თმის პრეპარატები და ნივთები და სხვა.

კვარტლის განმავლობაში გამოცხადდა და მიმდინარეობის ეტაპზეა ელექტრონული ტენდერები შემდეგი საშუალებების შესყიდვის მიზნით:

- 10 კომპლექტი ვიდეოკამერა;
- 10 კომპლექტი სამუშაო სადგური;
- ტონერიანი კარტრიჯები;
- ბრენდირებული საწვიმარი ლაბადები და ჟილეტები;

<u>ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა</u>

კვარტლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა არსებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზი და დასაქმებულთა მიერ განსახორციელებელ ფუნქცია-მოვალეობებთან სრულად შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები.
მაუწყებლის სტრუქტურული რეფორმირების და თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების საკითხებში დირექტორის მრჩევლის უშუალო ინიცირებით და საკადრო ბაზის სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა მაუწყებლის თანამშრომელთა ტრენინგისა და მსოფლიო გამოცდილების გაზიარების მიზნით შემდეგი ღონისძიებები:

- მიმდინარე წლის 18-19 აპრილს ამერიკელმა პროფესორმა და მკვლევარმა კეტრინ ჩევინმა მაუწყებლის თანამშრომლებისთვის გამართა 2 საჯარო ლექცია-სემინარი თემებზე - „პოლიტიკა, საზოგადოება და მედია (ამერიკული გამოცდილება)“, „არჩევნები და მედია (ამერიკული გამოცდილება)“;
- მიმდინარე წლის 6 მარტს ფრანგმა ჟურნალისტმა რეჟის ჟენტემ მაუწყებლის თანამშრომლებთან გამართა შეხვედრა შემდეგ საკითხებზე - ჟურნალისტის მიერ დაწერილი წიგნი, ამბის თხრობა, პუბლიცისტიკა.

მაუწყებლის სტრუქტურული რეფორმირების და თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების საკითხებში დირექტორის მრჩეველი აქტიურად მართავს შეხვედრებს მაუწყებლის თანამშრომლებთან და ახორციელებს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას სამაუწყებლო სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

„შემდეგი თაობა“ - სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;

კვარტლის განმავლობაში სტაჟიორთა მიღების მიზნით გამოცხადდა შემდეგი კონკურსები:

- მიმდინარე მაუწყებლობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში - შერჩეული იქნა 2 სტაჟიორი;

- ახალი ამბების, საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების და რადიომაუწყებლობის სამსახურში - მიმდინარეობს სტაჟიორთა შერჩევის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

<u>საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები</u>

მაუწყებელი ღია ერთობლივი პროექტებისა და თანამშრომლობისათვის. ამჟამად მემონანდუმების ფარგლებში მაუწყებლის პარტნიორი ორგანიზაციებია:

- „ამერიკის ხმა“;

- „მაუწყებელთა ალიანსი“;

- „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“;

- „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“;

- საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“;

- „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“;

- ა(ა)იპ კვლევითი ჟურნალისტიკისა და ადვოკატირების ცენტრი“;

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“;

- სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“;

- „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან“.

<u>მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა</u>

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურში განხორციელებული საქმიანობის ჩამონათვალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სტუდიებისა და მსს - ის განყოფილება

- განხორციელდა სტუდიური განათების აპარატების, მიკროფონების, შტატივების და კამერების პროფილაქტიკური სამუშაოები;
- სტუდია N3 - ში უწყვეტი დენის წყაროს ჩაუტარდა პროფილაქტიკურისამუშაოები;
- განხორციელდა სტუდია N 2 -ის დემონტაჟი;
- სტუდია N 2 - დან მოხსნილი კამერები დამონტაჟდა თბილისის ბიუროს სტუდიაში;
- თბილისის ბიუროს სტუდიაში დამონტაჟდა განახლებული ვიდეო პულტი.

კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილება

- ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა

და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის (AP) მოწყობილობების გამართვა;

- ფაერვოლისა და როუტერის (Sophos SG230) კონფიგურირება, სამუშაო ჯგუფების შექმნა, პორტებსა და სერვისებთან წვდომის წესების განსაზღვრა, ვებ და ქსელური დაცვის წესების შემუშავება სამუშაო ჯგუფებისა და ქსელების კატეგორიების გათვალისწინებით, ლოგირება და მონიტორინგი;
- სერვერების (FTP სერვერები, რადიო სტრიმინიგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი. ეთერის გრაფიკული გაფორმების სადგურების პროექტების გამზადება, პროგრამული და აპარატურული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- საეთერო სამაუწყებლო კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების შეკეთება, გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

- საეთერო პულტებში გრაფიკული ელემენტების ჩაწერა და კონფიგურირება, ქსელური ენკოდერების კონფიგურირება, სტორიჯის კონფიგურირება, მონიტორინგი, რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი;
- კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, მონიტორინგი.

გადამცემ საშუალებათა ექსპლუატაციის განყოფილება

ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა დემონტაჟის სამუშაოები. ჩატარდა ანტენა ფიდერული მოწყობილობის, FM რადიო გადამცემის, დენის უწყვეტი წყაროს და ტალღაგამტარი კაბელების დემონტაჟი. პარალელურად მოხდა საქართველოს ტელე-რადიო ცენტრის კუთვნილ მწვანე კონცხის ანძაზე აჭარის რადიოს გადამცემი სადგურის და გადამცემი ანტენების, ელექტრო კომუნიკაციების, დენის უწყვეტი წყაროს მონტაჟი. დღეის მდგომარეობით აჭარის რადიოს სიგნალი ვრცელდება 104,5 სიხშირეზე 500 ვატი სიმძლავრით, მომზადდა წერილი კომუნიკაციების კომისიაში სიმძლავრის 1000 ვატამდე გასაზრდელად.

ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩატარდა გადამცემ სადგურზე. გამოიცვალა სატელიტური რესივერი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 106,1 მგ ჰერცის სიხშირეზე.

შუახევის (ოროქეთის) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გამოიცვალა სატელიტური თავაკი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 106,0 მგ ჰერცის სიხშირეზე.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). რემონტი ჩაუტარდა გადამცემის სიმძლავრის ბლოკს, გამოიცვალა სატელიტური რესივერი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 104,5 მგ ჰერცის სიხშირეზე.

ხულოს მუნიციპალიტეტის არგინეთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გამოიცვალა სატელიტური რესივერი და თავაკი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 104,1 მგ ჰერცის სიხშირეზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ლეღვას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გარემონტდა გადამცემი სადგურის დაზიანებული კვების ბლოკი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 96,1 მგ ჰერცის სიხშირეზე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილქტიკური სამუშაოები, (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გარემონტდა სატელიტური რესივერი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 104,5 მგ ჰერცის სიხშირეზე.

თბილისის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. მაუწყებლობა ხორციელდება 90,2 სიხშირეზე.

ლაგოდეხის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). მაუწყებლობა ხორციელდება 90,7 სიხშირეზე. კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით გაიზარდა სიმძლავრე 1000 ვატამდე.

გორის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. მაუწყებლობა ხორციელდება 94,1 სიხშირეზე.

ქუთაისის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. მაუწყებლობა ხორციელდება 99,3 სიხშირეზე.

ზუგდიდის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. მაუწყებლობა ხორციელდება 97,1 სიხშირეზე.

ფოთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს. მაუწყებლობა ხორციელდება 90,7 სიხშირეზე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯოჭოში საქართველოს ტელე-რადიო ცენტრის კუთვნილ ანძაზე მოხდა აჭარის რადიოს გადამცემი სადგურის და ანტენა-ფიდერული მოწყობილობის მონტაჟი. დღეის მდგომარეობით ჯოჭოს გადამცემი სადგური მაუწყებლობს 93,1 სიხშირეზე 100 ვატი სიმძლავრით.

<u>მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი</u>

ახალი ამბების გამოშვებები და ანალიტიკური გადაცემები მზადდება მაყურებლის დახმარებით. მათი სატელეფონო ზარები და მაუწყებლის ფეისბუქის გვერდზე მიღებული შეტყობინებები არის მნიშვნელოვანი წყარო დაგეგმვის პროცესში.

<u>სამომავლო რისკები და გამოწვევები</u>

მაუწყებლის ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

<u>გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის</u>

- მაუწყებლის განვითარების შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი;
- აუდიტორიის შენარჩუნება და გაზრდის ღონისძიებების დაგეგმვა;
- კონვერგირებული მედიის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- მაუწყებლის პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების წესის მომზადება და პრაქტიკაში დანერგვა;
- მაუწყებლის პროგრამული ბიუჯეტის შედგენის წესის შემუშავება და დანერგვა;
- თანამშრომლებთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება;
- რადიო ეთერში კვირის შემაჯამებელი ჰიტ-ათეულის მომზადება, ახალი საავტორო გადაცემებისა და რუბრიკების მომზადება;
- რადიოს ტექნიკური დიაგნოსტიკის განხორციელება;
- სატელევიზიო პროგრამების განვითარებისა და სრულყოფის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- ახალი სატელევიზიო და რადიო პროექტების შემუშავების ხელშეწყობა.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

2023 წლის პირველი კვარტალის

ფინანსური ანგარიში

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2023 **წლის პირველ კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა** 3.874.925,00 **ლარს**, **ფაქტიურად დაიხარჯა** 3.433.742,32 **ლარი**. **გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 3 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 88,61%-**ს**.
მათ შორის:

- **სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან** 2023 **წლის პირველ კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა** 3.829.325,00 **ლარს**, **გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს** 3.392.904,22 **ლარს**. **გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 3 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 88,60%-**ს**.

- **ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან** 2023 **წლის პირველ კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა** 45.600,00 **ლარს**, **გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს** 40.838,10 **ლარს**. **გეგმის შესრულების მაჩვენებელი** 3 **თვის მდგომარეობით შეადგენს** 89,56%-**ს**.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2023 **წლის პირველ კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით** (**იხ. დანართი** N1).

2023 **წლის პირველ კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული** (**დარიცხული**) **შემოსავლების თანხა შეადგენს** 37.491,36 **ლარი**.
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (**დარიცხული**) **შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით** (**იხ. დანართი** N2).

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ
2023 წლის I კვარტალში გაწეული საკასო ხარჯები

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)				საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)			
	იანვარი	თებერვალი	მარტი	სულ	იანვარი	თებერვალი	მარტი	სულ
სულ	719.884,82	1.199.213,76	1.473.805,64	3.392.904,22	300,00	3.221,17	37.316,93	40.838,10
მრჩეველთა საბჭო	31.362,51	45.019,27	30.614,97	106.996,75	0,00	0,00	0,00	0,00
მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი	25.250,00	25.250,00	25.250,00	75.750,00	0,00	0,00	0,00	0,00
მრჩეველთა საბჭოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	4.750,00	4.750,00	4.750,00	14.250,00	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	1.195,96	750,00	390,00	2.335,96	0,00	0,00	0,00	0,00
სოციოლოგიური, აუდიტორიის და ბაზრის კვლევა/ნაშთიდან	0,00	14.042,00	0,00	14.042,00	0,00	0,00	0,00	0,00
მობილური სატელეფონო მომსახურება	166,55	162,17	166,17	494,89	0,00	0,00	0,00	0,00
კანცელარიის პროგრამული მომსახურების ხარჯი	0,00	65,10	58,80	123,90	0,00	0,00	0,00	0,00
ადმინისტრაცია	234.890,30	491.620,93	306.777,39	1.033.288,62	0,00	1.569,12	3.639,34	5.208,46
თანამდებობრივი სარგო	137.010,00	126.547,14	126.542,86	390.100,00	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	53.577,00	54.480,00	58.153,14	166.210,14	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა (მტაგარეშე)	0,00	765,00	357,14	1.122,14	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	235,00	2.270,00	50,00	2.555,00	0,00	0,00	0,00	0,00
თანამშრომელთა დაზღვევა	10.489,29	10.637,25	10.674,24	31.800,78	0,00	0,00	0,00	0,00
საკანცელარიო ჟურნალები და წიგნები	0,00	3.125,00	0,00	3.125,00	0,00	0,00	0,00	0,00
ბეჭდვითი მომსახურება (სამსახ. მოწმობები (ბეიჯი), ტურნიკეტის ბარათები, სერტიფიკატები, სავიზიტო ბარათები და სხვა)	0,00	0,00	1.128,00	1.128,00	0,00	0,00	0,00	0,00
მარაგების აღრიცხვის და კანცელარიის კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯები	0,00	660,30	596,40	1.256,70	0,00	0,00	0,00	0,00
ჟურნალ-გაზეთების შეძენა	0,00	0,00	22,10	22,10	0,00	0,00	0,00	0,00
ბრენდირებული საქონელი და ატრიბუტიკა	0,00	1.300,00	0,00	1.300,00	0,00	0,00	0,00	0,00
გასანათებელი მოწყობილობები და ნათურები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	447,00	447,00
სამეურნეო საქონლის და სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი	0,00	777,90	3.273,00	4.050,90	0,00	0,00	0,00	0,00
ელ სადენი და კაბელის აქსესუარების შეძენა	0,00	1.050,00	0,00	1.050,00	0,00	0,00	0,00	0,00
პირველადი ბატარეები და ელემენტები	0,00	3.089,00	8.834,90	11.923,90	0,00	0,00	0,00	0,00
სანიტარულ-ჰიგიენური/საწმენდი საშუალებები და მომსახურება	0,00	0,00	1.570,30	1.570,30	0,00	0,00	1.111,90	1.111,90
ფარმაცევტული პროდუქტები, სადეზინფექციო საშუალებები და შენობების სადეზინფექციო სამუშაოები	0,00	0,00	312,00	312,00	0,00	0,00	0,00	0,00
ავეჯის/კონდიციონერ(ებ)ის შეკეთების და მასალების ხარჯი	0,00	0,00	1.815,00	1.815,00	0,00	0,00	0,00	0,00
შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება	0,00	6,56	402,14	408,70	0,00	0,00	0,00	0,00
მობილური ტელეფონების ხარჯი	2.643,91	2.298,58	2.346,88	7.289,37	0,00	0,00	0,00	0,00
საკაბელო სატელევიზიო მომსახურება	0,00	60,00	60,00	120,00	0,00	0,00	0,00	0,00
ინტერნეტით მომსახურების ხარჯი	0,00	3.115,82	3.230,00	6.345,82	0,00	400,00	400,00	800,00
სატელევიზიო სიგნალის HD გავრცელება სილქტივის საკაბელო ტელევიზიის ქსელში	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	250,00	250,00	500,00
სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა-ჰოსტიგი	0,00	1.500,00	3.000,00	4.500,00	0,00	0,00	0,00	0,00
საფოსტო მომსახურება	34,20	26,20	122,20	182,60	0,00	0,00	0,00	0,00
ელ.ენერგიის ხარჯი (ანძების ჩათვლით)	11.975,09	14.343,97	16.006,77	42.325,83	0,00	0,00	0,00	0,00
წყალის და წყალანირების ხარჯი	0,00	438,18	593,85	1.032,03	0,00	0,00	0,00	0,00
საკორესპოდენტო ბიურო(ებ)ს ოფისის დაქირავების ხარჯი	0,00	7.700,00	9.900,00	17.600,00	0,00	0,00	0,00	0,00
წარმომადგენლობითი ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	714,65	0,00	714,65
სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	204,47	0,00	204,47
საწვავი (ავტომანქანებზე)	18.304,21	13.563,67	13.216,22	45.084,10	0,00	0,00	0,00	0,00
ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი	0,00	6.773,18	1.522,42	8.295,60	0,00	0,00	0,00	0,00
GPS-ის მოწყობილობის მეშვეობით ავტომობილების კონტროლის და გადაადგილების მონიტორინგის მომსახურება	0,00	398,42	398,42	796,84	0,00	0,00	0,00	0,00
ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯი/მანქანის აკუმულატორები/ ზეთები/ფილტრები	0,00	168,00	344,24	512,24	0,00	0,00	0,00	0,00
ავტომანქანების ტექ.დათვალიერების/ინსპექტირების ხარჯი	0,00	0,00	60,00	60,00	0,00	0,00	0,00	0,00
ავტომანქანების პარკირების ხარჯი	0,00	0,00	600,00	600,00	0,00	0,00	0,00	0,00
ავტომანქანების დაზღვევა	0,00	667,24	602,67	1.269,91	0,00	0,00	0,00	0,00
სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	0,00	214.500,00	0,00	214.500,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი	0,00	289,32	307,50	596,82	0,00	0,00	0,00	0,00
ტვირთის გადაზიდვისა და შენახვის მომსახურებები	0,00	900,00	0,00	900,00	0,00	0,00	0,00	0,00
დოკუმენტების თარგმნის ხარჯი	500,00	50,00	0,00	550,00	0,00	0,00	0,00	0,00
აუდიტორული მომსახურება	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	250,00	250,00
ფინანსური დოკუმენტაციის შეკერვა (დამუშავება)	0,00	0,00	300,00	300,00	0,00	0,00	0,00	0,00
შენობის დაცვა (შეირაღებული დაცვის გარდა)	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	1.180,44	1.180,44
ადმინისტრაციული შენობ(ებ)ის შეიარაღებული დაცვა	0,00	19.920,00	39.840,00	59.760,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატენდერო/აუქციონის განცხადებების, ქონების რეგისტრაციის, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საფასური და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	0,00	75,00	475,00	550,00	0,00	0,00	0,00	0,00
112-ს მომსახურების საფასური (სატელეფონო მომსახურება)	7,60	14,40	14,40	36,40	0,00	0,00	0,00	0,00
112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელ. მომსახურება)	114,00	110,80	105,60	330,40	0,00	0,00	0,00	0,00
ახალი ამბები	147.554,07	150.038,49	166.240,37	463.832,93	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	140.976,25	140.587,20	143.088,74	424.652,19	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	0,00	262,50	941,43	1.203,93	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	6.577,82	9.188,79	8.040,00	23.806,61	0,00	0,00	0,00	0,00
საერთაშორისო ახალი ამბების ვიდეოკონტენტის მოწოდების სერვისი	0,00	0,00	12.753,18	12.753,18	0,00	0,00	0,00	0,00
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	0,00	0,00	1.417,02	1.417,02	0,00	0,00	0,00	0,00

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)				საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)			
	იანვარი	თებერვალი	მარტი	სულ	იანვარი	თებერვალი	მარტი	სულ
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	264.433,19	346.746,29	791.738,09	1.402.917,57	300,00	1.095,02	29.359,11	30.754,13
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	245.295,00	252.172,14	257.880,29	755.347,43	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	0,00	0,00	4.975,00	4.975,00	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	19.138,19	39.150,32	50.936,36	109.224,87	0,00	0,00	0,00	0,00
გადაცემების წამყვანების ჩაცმულობა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	1.080,00	267,00	1.347,00
გარეწარმოების გადაცემების/პროგრამის შესყიდვა	0,00	37.060,00	126.140,00	163.200,00	0,00	0,00	0,00	0,00
შეკვეთით ნაბეჭდი მასალის, ბანერების ბეჭდვა-დამზადება (ლაითბოქსების ვიზუალის/ფირების ბეჭდვა, ბრენდირება	0,00	1.100,00	1.900,00	3.000,00	0,00	0,00	1.205,00	1.205,00
ბრენდირებული საქონელი და ატრიბუტიკა	0,00	0,00	2.500,00	2.500,00	0,00	0,00	1.140,00	1.140,00
სოციალურ ქსელში გასაღარებელი სარეკლამო კამპანიის ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	300,00	15,02	0,00	315,02
ნამზადების შეძენა(არარეზიდენტის მოგების გადასახადთან ერთად)	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	630,00	630,00
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული ფილმების შესყიდვა	0,00	0,00	65.000,00	65.000,00	0,00	0,00	23.000,00	23.000,00
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა/გახმოვანება	0,00	0,00	223.790,00	223.790,00	0,00	0,00	0,00	0,00
კოსმეტიკური საშუალებების შეძენა (სტილისტი+ვიზაჟისტი)	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	3.117,11	3.117,11
სპორტული ღონისძიების ტრანსლირების მომსახურება	0,00	0,00	55.202,63	55.202,63	0,00	0,00	0,00	0,00
საავტორო უფლებების ჰონორარი	0,00	2.263,83	3.413,81	5.677,64	0,00	0,00	0,00	0,00
საავტორო უფლებების შესყიდვა/მუსიკალური ნაწარმოები (ფონი)	0,00	15.000,00	0,00	15.000,00	0,00	0,00	0,00	0,00
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	41.515,00	40.515,00	53.304,25	135.334,25	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	41.365,00	40.425,00	42.283,81	124.073,81	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	0,00	0,00	3.937,14	3.937,14	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	150,00	90,00	588,30	828,30	0,00	0,00	0,00	0,00
რადიო სიგნალის ტრანსლაცია ინტერნეტის ქსელში - რადიო სტრიმინგი (არარეზიდენტის მოგების გადასახადთან ერთად)	0,00	0,00	1.295,00	1.295,00	0,00	0,00	0,00	0,00
გარეწარმოების გადაცემების/პროგრამის შესყიდვა	0,00	0,00	5.200,00	5.200,00	0,00	0,00	0,00	0,00
ტექნიკური უზრუნველყოფა	0,00	120.940,51	109.974,24	230.914,75	0,00	0,00	210,00	210,00
ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური	0,00	20.438,00	40.876,00	61.314,00	0,00	0,00	0,00	0,00
FM რადიოსიგნალის სარელეო ხაზით გავრცელების საფასური	0,00	957,00	1.914,00	2.871,00	0,00	0,00	0,00	0,00
FM რადიოგადამცემების სადგურების განთავსების იჯარა	0,00	4.558,40	10.241,80	14.800,20	0,00	0,00	0,00	0,00
ოპტიკური და საკომუნიკაციო არხისათვის იჯარა	0,00	300,00	300,00	600,00	0,00	0,00	0,00	0,00
თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი	0,00	21.017,60	20.603,20	41.620,80	0,00	0,00	0,00	0,00
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	0,00	2.335,29	2.289,24	4.624,53	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტის (მთაწმინდა) მომსახურება	0,00	250,00	250,00	500,00	0,00	0,00	0,00	0,00
სპორტული და სხვა ღონისძიების ტრანსლირების მომსახურება	0,00	0,00	16.000,00	16.000,00	0,00	0,00	0,00	0,00
განათების, სცენის და სხვა კონსტრუქციის დაქირავება, ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში შესაძენი მომსახურება	0,00	15.000,00	17.500,00	32.500,00	0,00	0,00	0,00	0,00
რადიო გადამცემი სადგურისათვის მარაგ-ნაწილების შეძენა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	210,00	210,00
მონაცემთა სანახის (Huawei OceanStor 2200 V3) პროგრამის განახლება (შპს სოფთლაინ საქართველო/საფ ეა-76 7982269, მჩა 02-17/04) /ნაშთიდან	0,00	8.991,60	0,00	8.991,60	0,00	0,00	0,00	0,00
ვიდეოსიგნალის კონვერტორები და ვიდეოსიგნალის გამამრავლებელი/ (შპს ვიდეოსკოპი/ხელშეკრულება N02-22/240)/ნაშთიდან	0,00	7.493,00	0,00	7.493,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო ეთერის უზრუნველყოფის თანამედროვე ციფრული სისტემა	0,00	39.599,62	0,00	39.599,62	0,00	0,00	0,00	0,00
სხვა გადასახდელები	129,75	4.333,27	15.156,33	19.619,35	0,00	557,03	4.108,48	4.665,51
არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ	0,00	4.203,52	15.026,58	19.230,10	0,00	27,03	0,00	27,03
საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	380,00	2.900,18	3.280,18
სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე - მოსაკრებელი/აღსრულების ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	150,00	1.208,30	1.358,30
დასუფთავების მოსაკრებელი	129,75	129,75	129,75	389,25	0,00	0,00	0,00	0,00

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ
2023 **წლის I კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით**
მიღებული (დარიცხული) შემოსავლები

დასახელება	**თანხა**
შემოსავლები კომერციული რეკლამიდან (დღგ-ს ჩათვლით)	6.190,00
შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით)	31.301,36
სულ	37.491,36